შენიშვნების ფურცელი

კონსტიტუციური კანონის პროექტზე

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/101/9, 02.11.2017)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში პირველი მოსმენით განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები

ავტორი	შენიშვნის არსი	შენიშვნის გათვალისწინების მდგომარეობა
პარლამენტის თავმჯდომარე: ირაკლი კობახიძე	მომხსენებელმა განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი და ამის საფუძველზე, მოხდეს მომდევნო პუნქტების გადანომვრა: 5. სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვაზე, ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობასა და ქვეყნის ეკოლოგიურად მდგრად განვითარებაზე.	გათვალისწინებულია

პარლამენტის თავმჯდომარე: ირაკლი კობახიძე	მომხსენებელმა განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: **2. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ~~დანაშაულის თავიდან აცილების~~ ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.**	გათვალისწინებულია
პარლამენტის თავმჯდომარე: ირაკლი კობახიძე	მომხსენებელმა განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 1. ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ~~დანაშაულის თავიდან აცილების~~ ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. 3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ~~დანაშაულის თავიდან აცილების~~ ან სხვათა უფლებების დაცვის	გათვალისწინებულია

	მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.	
პარლამენტის თავმჯდომარე: ირაკლი კობახიძე	მომხსენებელმა განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 5. ~~ამ უფლებათა განხორციელება შეიძლება კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში~~ ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, ~~დანაშაულის თავიდან ასაცილებლად,~~ სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.	გათვალისწინებულია

პარლამენტის თავმჯდომარე: ირაკლი კობახიძე	მომხსენებელმა განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: **2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე განზრახი დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.**	გათვალისწინებულია
პარლამენტის თავმჯდომარე: ირაკლი კობახიძე	მომხსენებელმა განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: **3. აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია.**	გათვალისწინებულია
პარლამენტის თავმჯდომარე: ირაკლი კობახიძე	მომხსენებელმა განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: **2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიან შედგება 4 წლის ვადით განწესებული 145 წევრისაგან და**	გათვალისწინებულია

	უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, რომლებიც არ არიან არჩეული საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ და წევრს, რომელიც არ არის დანიშნული საქართველოს პრეზიდენტის მიერ, სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთაგან ორგანული კანონით დადგენილი წესით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს 4 წლის ვადით მის მიერ არჩეულ წევრთაგან ირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო.	
პარლამენტის თავმჯდომარე: ირაკლი კობახიძე	მომხსენებელმა განაცხადა, რომ კონსტიტუციური კანონპროექტის გარდამავალი დებულებებს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის დებულება: 2. ამ კანონის პირველი მუხლით დადგენილი საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობები ამოქმედდეს ამ კანონის გამოქვეყნებისთანავე.	გათვალისწინებულია

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე: ალექსანდრე ბარამიძე	მომხსენებელმა განაცხადა, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით და გაუქმდეს მე-3 პუნქტის ჩანაწერი: 2. ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებებში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას და ოფიციალურ დოკუმენტებს. ამ უფლების განხორციელება შეიძლება კანონით შეიზღუდოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სხვათა უფლებების დაცვის, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით. ~~, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას ან სხვა პირის კომერციულ, პროფესიულ ან პირად საიდუმლოებას.~~ ~~3. ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციას და ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას.~~	გადაწყდა, რომ აღნიშნული საკითხი დამუშავებული იქნება კონსტიტუციური კანონის პროექტის სასესიო განხილვის დასრულებამდე.